ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 309

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, იალბუზის ქუჩა №4; №6; №6ა; №8; №8ა; №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.13.043.032, ფართობი - 1899 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის №194 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39^3 და 39^5 მუხლების და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, იალბუზის ქუჩა №4; №6; №6ა; №8; №8ა; №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.13.043.032, ფართობი - 1 899 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის №24.709.792 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 11 ივლისის №25.1164.1316 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, იალბუზის ქუჩა N4; N6; N6ა; N8; N8ა; N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.043.032 ფართობი - 1 899 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N194 განკარგულებაში და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) კ-2=4.6-დან კ-2=5.8-მდე დაფიქსირდეს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, იალბუზის ქუჩა N4; N6; N6ა; N8; N8ა; N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.043.032, ფართობი - 1 899 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის N24.709.792 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 11 ივლისის N 25.1164.1316 განკარგულებით გათვალისწინებული მოცულობის შესაბამისად, რაც გულისხმობს 11 (თერთმეტი) მიწისზედა სართულიანი შენობის განთავსებას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე